

პროგრამის სახელწოდება საწყობის ლოგისტიკის ოპერატორი



პროგრამის სახე: მომზადება

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 6 კვირა

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 20 საათი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: 18 წელი

აპლიკანთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება

პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია მოამზადოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი კადრი, რომელიც შეძლებს შრომითი და ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმების დაცვით ტვირთის კლასიფიცირებას, სხვადასხვა სახის ტვირთის საწყობში მიღებას და გაცემას, ტვირთის შენახვას სათავსოში, სასაწყობო დოკუმენტაციის წარმოებას.

პროგრამის მოკლე აღწერა:

„საწყობის ლოგისტიკის ოპერატორის“ პროფესიული მომზადების პროგრამა საშუალებას აძლევს პირებს, რომლებიც აღნიშნულ პროგრამაზე ისწავლიან, გაეცნონ საწყობის ლოგისტიკის არსსა და მნიშვნელობას, ტვირთების კლასიფიკაციას და ტვირთების საწყობების ტიპებს, საწყობების ტექნოლოგიურ სქემებს, შრომითი და ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმების დაცვით განახორციელონ სხვადასხვა სახის ტვირთის საწყობში მიღება და გაცემა, ტვირთის შენახვა სათავსოში, სასაწყობო დოკუმენტაციის წარმოება.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 6 კვირას, კვირაში - 20 საათი. სწავლა განხორციელდება, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასევე კომპანიებში

ლექციები ინტერაქტიულ ფორმაში ჩატარდება; ფართოდ იქნება გამოყენებული პრეზენტაციები, ვიდეო ჩვენება, სასწავლო მასალების დემონსტრირება, სწავლების მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმობა კოლექჯში მიღებული ცოდნის და უნარების გამყარებას რეალურ პირობებში კომპანიებში. მსმენელების შეფასებისთვის გამოყენებული იქნება, ტესტები, ზეპირი გამოკითხვა, პრეზენტაციები, პრაქტიკული დავალებები, მსმენელების მიერ შესრულებულ სამუშაოზე გაკვირვება.

პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნა და უნარები შეუწყობს ხელს მსმენელების დასაქმებას კომერციულ, საავტომობილო, სუპერმარკეტისა და სხვა ტიპის საწყობებში, ასევე სავაჭრო კომპანიებში, რომლებიც ფლობენ საკუთარ საწყობებს, საწყობის ლოგისტიკის ოპერატორის, დისპეტჩერის, მარაგების და სათავსოს თანამშრომლის ან ტვირთის მიმღების თანამდებობაზე.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- საწყობის ლოგისტიკის არსისა და მნიშვნელობის გაცნობიერება;
- ტვირთის მიღება საწყობში;
- ტვირთის შენახვა სათავსში
- ტვირთის გაცემა საწყობიდან
- სასაწყობო დოკუმენტაციის წარმოება
- შრომითი და ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმების განმარტება

პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები:

- შპს „ნოვა“

დასაქმების სფერო:

- კომერციულ, საავტომობილო, სუპერმარკეტისა და სხვა ტიპის საწყობებში;
- სავაჭრო კომპანიებში, რომლებიც ფლობენ საკუთარ საწყობებს;